



კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

დამსაქმებელთა კვლევის ანგარიში (2022)

აბსტრაქტი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პარტნიორი დაწესებულებების/დამსაქმებლების კვლევის ანგარიშს. გამოკითხვა ჩატარდა 2022 წელს.

სარჩევი

შესავალი.....	3
კვლევის მიზანი.....	3
კვლევის ამოცანები.....	4
კვლევის მეთოდოლოგია.....	4
სამიზნე ჯგუფი.....	5
შერჩევა.....	5
ეთიკური მოსაზრებები.....	5
ვალიდობა და სანდობა.....	6
კვლევის შედეგები - მონაცემთა ანალიზი.....	6
ძირითადი მიგნებები.....	12
რეკომენდაციები.....	13
დანართი 1 - კითხვარი დამსაქმებლებისთვის.....	14

შესავალი

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე. ამისათვის იგი ქმნის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემას, შეიმუშავებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სტანდარტებს და სისტემატიურად აფასებს სასწავლო პროცესის ხარისხს.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიზანს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი განხორციელების უზრუნველყოფა წარმოადგენს, ხოლო მის ერთ-ერთ ამოცანას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების, სტაჟირების და პროგრამების მიმართ დამსაქმებელთა დამოკიდებულების შესწავლა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის, ეფექტურობის უზრუნველსაყოფად არსებითად მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობა. შესაბამისად, ყოველწლიურად ხორციელდება დამსაქმებელთა კვლევა პროგრამისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ახალი სამოქმედო ინსტრუქციების შესაქმნელად.

კვლევის მიზანი

დამსაქმებელთა კვლევის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და სრულყოფის მიზნით, პარტნიორი ორგანიზაციების დამოკიდებულების კვლევა, როგორც ზოგადად პროფესიული განათლების მიმართ, ასევე კონკრეტულად კოლეჯ ბარაკონთან მიმართებაში. კვლევის ფარგლებში განხორციელდა ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და ძირითადი მიგნებების გათვალისწინებით რეკომენდაციების გაცემა.

კვლევის ამოცანები

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- პროფესიული განათლების მიმართ დამსაქმებელთა ზოგადი დამოკიდებულების შეფასება;
- პროფესიული სტუდენტების ან/და კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის შეფასება და მათი დასაქმების მიმართ დამოკიდებულების შესწავლა;
- დამსაქმებლების მიერ პროფესიული სტუდენტების ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება;
- დამსაქმებლების მიერ კოლეჯის შეფასება სხვადასხვა ასპექტით;
- ეფექტური თანამშრომლობისთვის პერსპექტიული გეგმების განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რათა უფრო სრულყოფილად მომხდარიყო პრობლემის იდენტიფიცირება. სტრუქტურირებული კითხვარი მოიცავდა, როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს და თემატურად დაჯგუფებული იყო კვლევის ამოცანების შეესაბამისად. კვლევის ძირითადი ამოცანების შესწავლისთვის დახურული კითხვების გამოყენება განპირობებული იყო რაოდენობრივი მონაცემების მიღების საჭიროებით, ხოლო ღია კითხვები კვლევის მონაწილეებს საკუთარი სიტყვებით - პასუხების აღწერის, ახსნისა და შეფასების საშუალებას აძლევდა.

გამოკითხვა ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სამოქმედო გეგმით გაწერილ ვადებში და ადმინისტრირებული იყო ელექტრონული გამოკითხვის მეშვეობით. შესაბამისად, კითხვარის შევსება რესპონდენტებისათვის მოსახერხებელ დროსა და გარემოში იყო შესაძლებელი, რაც საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის გადამოწმების და პასუხებზე დაფიქრების შესაძლებლობას იძლეოდა.

მონაცემთა შეგროვების აღნიშნული მეთოდი მიზნად ისახავდა დამსაქმებლებისგან მოძიებულიყო ის გზები თუ საშუალებები, რომელიც განაპირობებს და უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას.

სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პარტნიორი დაწესებულებები, რომლებიც წარმოადგენენ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებლებს.

შერჩევა

რესპონდენტთა შერჩევისას გამოყენებულ იქნა არაალბათური შერჩევა, რომლის ფარგლებშიც შეირჩა პარტნიორი ორგანიზაციები ხელმისაწვდომობის (კონკრეტულ მომენტში ხელმისაწვდომია მკვლევარისთვის) და მიზნობრიობის (ვარჩევთ, მათთვის დამახასიათებელი, კონკრეტული გამოცდილების და ცოდნის მიხედვით) გათვალისწინებით. ეს შერჩევა არ არის განკუთვნილი უფრო ფართო პოპულაციაზე გენერალიზაციისთვის.

ეთიკური მოსაზრებები

კვლევის ჩატარებისას გათვალისწინებულ იქნა ეთიკური მოსაზრებები. კერძოდ:

- თითოეულ კვლევის მონაწილეს ნებისმიერ ეტაპზე შეეძლო კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა;
- მონაცემთა შეგროვების პროცესში რესპონდენტთა იდენტიფიცირება იყო შესაძლებელი, თუმცა მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და განზოგადოებულია კვლევის შედეგების ანალიზში.

ვალიდობა და სანდოობა


მნიშვნელოვანია, კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების მეთოდი ყოფილიყო მდგრადი და სტაბილური. ამისათვის, შეიქმნა ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფდა რეპრეზენტაციული და რელევანტური მონაცემების მიღებას. არავალიდური მონაცემების მიღებისგან თავის არიდების მიზნით არ იქნება გამოყენებული ორაზროვანი და მიმანიშნებელი კითხვები.

კვლევის შედეგები – მონაცემთა ანალიზი

დამსაქმებელთა გამოკითხვა მნიშვნელოვან ინფორმაციის მომცემ ინსტრუმენტს წარმოადგენს კვლევის მიზნებისთვის და მათი აზრი მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 10 პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელმა. მათ შორის, 2 რესპონდენტი წარმოადგენდა ფარმაციის (სააფთიქაო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციას, ხოლო დანარჩენი საექთნო საქმის პროფესიული პროგრამის პარტნიორ დაწესებულებებს.


კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების საფუძველზე იკვეთება, რომ რესპონდენტებს თავიანთ ორგანიზაციაში დაკავებული აქვთ სხვადასხვა პოზიციები, ასევე განხვავებულია მათი სამუშაო გამოცდილება კონკრეტულ დაწესებულებაში. გამოკითხულთა 100% პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციას იღებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისგან. აღნიშნული მონაცემის განსხვავება თვალშისაცემია 2021 წლის დამსაქმებელთა კვლევის შედეგებთან, რაც მიუთითებს პარტნიორი ორგანიზაციებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ურთიერთთანამშრომლობის ხარისხის ზრდაზე.

გრაფიკი 1. რომელი წყაროებიდან იღებთ ინფორმაციას პროფესიული განათლების შესახებ?




რესპონდენტთა უმრავლესობას (90 %) ბოლო სამი წლის განმავლობაში პრაქტიკაზე ჰყოლია კოლეჯის პროფესიული სტუდენტები. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 50%-ის შეფასებით საწარმოო პრაქტიკის დროს პროფესიული სტუდენტები ძალიან არიან მოტივირებულები, ხოლო რესპონდენტთა მეორე ნახევარი (50%) მიიჩნევს, რომ საწარმოო პრაქტიკის დროს პროფესიული სტუდენტები საშუალოდ არიან მოტივირებულები. პროფესიული სტუდენტების ძალიან მოტივირებულობის ჭრილში, მოცემული პროცენტული მონაცემები ზრდადია 2021 წლის მონაცემებთან შედარებით, დაახლოებით 22%-ით.

გრაფიკი 2. არიან თუ არა მოტივირებულნი საწარმოო პრაქტიკის დროს პროფესიული სტუდენტები?




კვლევის ფარგლებში დამსაქმებლებს უნდა შეეფასებინათ პროფესიულ სტუდენტთა ცოდნა და უნარები. რესპონდენტების აბსოლიტურმა უმრავლესობამ კარგად შეაფასა პროფესიულ სტუდენტთა კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, კომპიუტერული უნარ-ჩვევები, პროფესიული ეთიკა, სამსახურისთვის შესაბამისი ტანსაცმლის შერჩევის უნარი, პროფესიის შესაბამისი პრაქტიკული უნარები და პროფესიის შესაბამისი თეორიული ცოდნა. რამდენიმე რესპონდენტის მიერ ცუდად შეფასდა სტუდენტთა მიერ შრომის უსაფრთხოების წესის ცოდნა და მათი პრაქტიკაში გამოყენება, უცხო ენის ცოდნა, დროის მენეჯმენტი და გუნდური მუშაობის უნარი. აღსანიშნავია რომ, უცხო ენების ცოდნას და გუნდური მუშაობის უნარს 2021 წელსაც იდენტური შეფასება ჰქონდა.

გრაფიკი 3. როგორ შეაფასებდით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნასა და უნარებს?



ინსტიტუციური განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სხვა დაინტერესებული მხარეების, დამსაქმებლების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება. კვლევის ფარგლებში, რესპონდენტთა მიერ კოლეჯი შეფასდა რამდენიმე მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ არც ერთ რესპონდენტს, არც ერთი ასპექტი არ შეუფასებია უარყოფითად.

გრაფიკი 4. როგორ შეაფასებდით კოლეჯს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით?



ყველა გამოკითხული რესპოდენტი ფიქრობს, რომ თანამშრომლობას ორივე მხარისთვის თანაბარი სარგებელი მოაქვს. ასევე, მომავალშიც მზად არიან გააგრძელონ თანამშრომლობა კოლეჯთან.

კვლევაში ჩართულ დაწესებულებათა 80%-ს ბოლო სამი წლის განმავლობაში დაუსაქმებია პროფესიული სტუდენტები, რომლებმაც მათთან გაიარეს პრაქტიკა. მათ ასევე აქვთ პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მქონე პირთა დასაქმების პრაქტიკაც. გამოკითხულთა 20%-ს კი პროფესიული სტუდენტები არ დაუსაქმებია.


რესპოდენტებმა ასევე ზოგადად დაასახელეს ის მიზეზები, რის გამოც არ ასაქმებენ კოლეჯის კურსდამრთავრებულებს. ძირითად მიზეზად დასახელდა პროფესიულ სტუდენტთა დაბალი მოტივაცია სწავლის პროცესში.

გრაფიკი 5. როგორ ფიქრობთ, რა არის იმის მიზეზი, რომ არ დაგისაქმებიათ კოლეჯის კურსდამთავრებული?



დასაქმების მიზნით, პროფესიული განათლების მქონე კვალიფიკაციური პერსონალის მოძიების მთავარ საშუალებას, რესპოდენტების აზრით, წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობა (66,7%). აგრეთვე, ეფექტურია ინტერნეტ გვერდებზე განაცხადის განთავსება და პირადი კონტაქტების გამოყენება.

გრაფიკი 6. რომელია დასაქმების მიზნით პროფესიული განათლების დონის კვალიფიციური პერსონალის მოძიების ყველაზე გავრცელებული გზა?




გამოკითხულ რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ახალდასაქმებულ პირებს კვალიფიკაციის მიუხედავად სჭირდებათ ტრენინგები. ასევე, მათი შეფასებით პროფესიული დიპლომის მქონე პირებსაც, გარკვეული დოზით სჭირდებათ ტრენინგები.

გრაფიკი 7. რა დოზით სჭირდებათ დამატებითი ტრენინგები პროფესიული დიპლომის მქონე პირებს, რომლებიც დაგისაქმებიან?




როცა ვსაუბრობთ დასაქმებაზე, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია კოლეჯის პროფესიული სტუდენტი თუ კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი, ამიტომაც პარტნიორი ორგანიზაციების შეფასება აღნიშნული საკითხის, კოლეჯისთვის საყურადღებო და მნიშვნელოვანია. არც ერთი გამოკითხული არ ფიქრობს, რომ კოლეჯის კურსდამთავრებული არ არის კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე. რესპოდენტთა 50%-ის აზრით, კოლეჯის კურსდამთავრებული კონკურენტუნარიანია, ხოლო 50%-ის შეფასებით, ისინი საშუალოდ კონკურენტუნარიანნი არიან.

გრაფიკი 8. როგორ ფიქრობთ, კონკურენტუნარიანია კოლეჯის კურსდამთავრებული შრომის ბაზარზე?



რესპოდენტთა აზრით, საჭიროა მეტი პოზიციონირება, პიარ კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან. საჭიროა პროფესიულ განათლებაზე ძველი წარმოდგენების ჩანაცვლება ახალი, ჯანსაღი წარმოდგენებით, რათა მეტად პრესტიჟული გახდეს პროფესიული განათლება. მიუხედავად ამ მოსაზრებისა, გამოკითხულთა უმრავლესობისთვის, პროფესიული განათლება მაინც პრესტიჟულია, მხოლოდ ერთ გამოკითხულს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

გრაფიკი 9. რამდენად პრესტიჟულია პროფესიული განათლება?



ძირითადი მიგნებები

1. რესპოდენტთა უმრავლესობა (80%) მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლება ძალიან პრესტიჟულია/პრესტიჟულია.
2. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარტნიორ ორგანიზაციებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენლებს შორის გაზრდილია ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი, ვინაიდან:
 - გამოკითხულთა 100% პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციას იღებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისგან;

- რესპოდენტების 66,7%-ის აზრით, დასაქმების მიზნით პროფესიული განათლების მქონე კვალიფიკაციური პერსონალის მოძიების მთავარ საშუალებას წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობა.
 - ბოლო სამი წლის განმავლობაში, კვლევაში ჩართულ დაწესებულებათა 80%-ს დაუსაქმებია პროფესიული სტუდენტები, რომლებმაც მათთან გაიარეს პრაქტიკა.
3. პროფესიული სტუდენტების ცოდნისა და უნარების შეფასებისას, მოცემული 10 უნარ-ჩვევიდან, რესპოდენტების აბსოლიტურმა უმრავლესობამ ძალიან კარგად და კარგად შეაფასა 6 უნარ-ჩვევა.
 4. პროფესიულ სტუდენტთა გუნდური მუშაობის უნარი და უცხო ენების ცოდნა შეფასდა ცუდად. 2021 წელსაც აღნიშნულ ცოდნასა და უნარ-ჩვევას იდენტური შეფასება ჰქონდა.
 5. რესპოდენტთა 80%-ის აზრით, ახალდასაქმებულ პირებს კვალიფიკაციის მიუხედავად გარკვეული დოზით ესაჭიროებათ ტრენინგები.
 6. რესპოდენტთა მიერ კოლეჯის სხვადასხვა მიმართულებით შეფასებისას, არც ერთ რესპოდენტს, არც ერთი ასპექტი არ შეუფასებია უარყოფითად.

რეკომენდაციები

გამომდინარე იქიდან, რომ 2021 და 2022 წლების კვლევის ფარგლებში რესპოდენტები პროფესიულ სტუდენტთა მიერ უცხო ენის ცოდნასა და გუნდური მუშაობის უნარს აფასებენ ცუდად, მნიშვნელოვანია კიდევ უფრო მეტად გაძლიერდეს აქცენტი ჯგუფური დავალებების შესრულებასა და უცხო ენების სწავლების მნიშვნელობაზე. სასურველია სწავლების პროცესში აქცენტი გაკეთდეს ზოგადი მოდულების სწავლების მნიშვნელობაზე, პროფესიასთან მათ კავშირზე და პრაქტიკული უნარების განვითარების საჭიროებაზე. სასურველია, აღნიშნული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განსავითარებლად, სასწავლო პროცესში დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები.

დანართი 1 – კითხვარი დამსაქმებლებისთვის

შპს ბარაკონი

კითხვარი დამსაქმებელთათვის

მოგესალმებით!

ქვემოთ წარმოდგენილი კითხვარის მიზანია, გავიგოთ თქვენი აზრი პროფესიული განათლების შესახებ.

საქართველოში 2015 წლიდან ხორციელდება მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, რომელთა მიზანია პროფესიული სტუდენტების ცოდნა გახდეს უფრო კონკრეტული, შედეგზე ორიენტირებული და განათლება მიიღონ შესაბამისი პროფესიისათვის დამახასიათებელ გარემოში, რასაც ხელს უწყობს პროგრამით მისაღები შედეგების შესაბამისი C გარემოს არსებობა კოლეჯისა თუ პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე.

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ კითხვარში მოცემულ ყველა შეკითხვას და რაც შეიძლება ზუსტი, გულახდილი პასუხები გასცეთ. თქვენი შეფასებები კვლევის ჯგუფის მიერ გამოყენებული იქნება ხარვეზების გამოსავლენად, პროგრამისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ახალი სამოქმედო ინსტრუქციების შესაქმნელად. მნიშვნელოვანია, მხოლოდ თქვენი აზრის დაფიქსირება. ამიტომ, უპასუხეთ დასმულ კითხვებს ისე, როგორც თქვენ მიგაჩნიათ სწორად.

შეკითხვის გასწვრივ უნდა მონიშნოთ თქვენ მიერ არჩეული პასუხის ვარიანტი. თუკი პასუხის მონიშვნისას შეცდომა დაუშვით, გადახაზეთ შეცდომა და მონიშნეთ ის ვარიანტი, რომელიც თქვენ პასუხს შეესაბამება.

წინასწარ გიხდით მადლობას კითხვარის შევსებისა და აზრის გაზიარებისთვის!

კითხვარის ნომერი /_____/

A. ზოგადი ინფორმაცია

A.1. გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი /_____/

A.2. გთხოვთ, მიუთითოთ ორგანიზაცია, რომელსაც წარმოადგენთ

A.3. გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი პოზიცია _____

A.4. გთხოვთ, მიუთითოთ რამდენი წელია, რაც მუშაობთ ამ ორგანიზაციაში /_____/

B. ინფორმაცია თანამშრომლობასთან და პროფესიულ სტუდენტთა კომპეტენციებთან დაკავშირებით

B.1. რომელი წყაროებით იღებთ ინფორმაციას პროფესიული განათლების შესახებ?

1. ტელევიზია
2. ახლობლები, მეგობრები
3. სოციალური ქსელები
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები
5. საერთოდ არ ვიღებ ინფორმაციას არანაირი წყაროდან

77. სხვა _____ /ჩაწერეთ/

B.2. ბოლო სამი წლის განმავლობაში, გყოლიათ თუ არა კოლეჯის პროფესიული სტუდენტები პრაქტიკაზე?

1. დიახ
2. არა (გადადით შეკითხვაზე B.10.)

B.3. გყოლიათ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები პრაქტიკაზე?

1. დიახ
2. არა

B.4. არიან თუ არა მოტივირებულნი საწარმოო პრაქტიკის დროს პროფესიული სტუდენტები?

1. დიახ, ძალიან მოტივირებულნი არიან
2. საშუალოდ არიან მოტივირებულნი
3. არა, არ არიან მოტივირებულნი
99. არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

B.5. როგორ შეაფასებდით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნასა და უნარებს? (შეაფასეთ თითოეული)

ცოდნა და უნარები	ძალიან კარგად	კარგად	ცუდად	ძალიან ცუდად	არ ეხება
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	1	2	3	4	5
კომპიუტერული უნარ-ჩვევები	1	2	3	4	5

პროფესიული ეთიკა	1	2	3	4	5
შრომის უსაფრთხოების წესების ცოდნა და გამოყენება	1	2	3	4	5
სამსახურისთვის შესაფერისი ტანსაცმლის შერჩევის უნარი	1	2	3	4	5
უცხო ენის ცოდნა	1	2	3	4	5
გუნდური მუშაობის უნარი	1	2	3	4	5
დროის მენეჯმენტი	1	2	3	4	5
პროფესიის შესაბამისი პრაქტიკული უნარები	1	2	3	4	5
პროფესიის შესაბამისი თეორიული ცოდნა	1	2	3	4	5

B.6. როგორ შეაფასებდით კოლეჯს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით? (შეაფასეთ თითოეული)

ცოდნა და უნარები	ძალიან დადებითად	დადებითად	უარყოფითად	ძალიან უარყოფითად	არ ვიცი
მასწავლებლების პროფესიონალიზმი	1	2	3	4	5
კოლეჯის ადმინისტრაციის მოქნილობა თანამშრომლობის პროცესში	1	2	3	4	5
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამართულობა	1	2	3	4	5
პროგრამების შინაარსი	1	2	3	4	5

B.7. როგორ შეაფასებდით ურთიერთთანამშრომლობას?

1. თანამშრომლობას უფრო მეტი სარგებელი მოაქვს ჩვენი ორგანიზაციისთვის
 2. თანამშრომლობას უფრო მეტი სარგებელი მოაქვს კოლეჯისთვის
 3. თანამშრომლობას თანაბარი სარგებელი მოაქვს ორივე მხარისთვის
99. არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

B.8. გააგრძელებთ თუ არა მომავალში კოლეჯთან თანამშრომლობას?

1. ვფიქრობთ, გავაგრძელებთ თანამშრომლობას
 2. ვფიქრობთ, არ გავაგრძელებთ თანამშრომლობას
99. არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

B.9. ბოლო სამი წლის განმავლობაში, დაგისაქმებიათ თუ არა ის პროფესიული სტუდენტები, რომლებმაც თქვენთან გაიარეს პრაქტიკა?

1. დიახ, დავასაქმე ყველა
2. დიახ, დავასაქმე მათი ნაწილი
3. არა, არ დამისაქმებია არავინ

B.10. დაგისაქმებიათ თუ არა პროფესიული განათლების დონის კვალიფიციური პერსონალი?

1. დიახ
2. არა (გადადით კითხვაზე B.13.)

B.11. რომელია დასაქმების მიზნით პროფესიული განათლების დონის კვალიფიციური პერსონალის მოძიების ყველაზე გავრცელებული გზა?

1. ურთიერთობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან
2. ახლობლების/პირადი კონტაქტები
3. ინტერნეტ გვერდებზე განცხადების განთავსება
4. ტელევიზიის, ჟურნალ-გაზეთების და/ან რადიოს საშუალებით

77. სხვა _____/დაასახელო/

99. არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

B.12. რა დოზით სჭირდებათ დამატებითი ტრენინგები პროფესიული დიპლომის მქონე პირებს, რომლებიც დაგისაქმებიათ?

1. სჭირდებათ ტრენინგი დიდი დოზით
2. სჭირდებათ ტრენინგი გარკვეული დოზით
3. არ სჭირდებათ დამატებითი ტრენინგი

99. არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

B.13. ზოგადად სჭირდებათ თუ არა ტრენინგები ახალდასაქმებულ პირებს კვალიფიკაციის მიუხედავად?

1. დიახ, სჭირდებათ
2. ზოგჯერ სჭირდებათ
3. არ სჭირდებათ

99. არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

B.14. როგორ ფიქრობთ, რა არის იმის მიზეზი, რომ არ დაგისაქმებიათ კოლეჯის კურსდამთავრებული?

1. ზოგადად, სამუშაო ადგილების სიმცირე
2. პროგრამების დაბალი ხარისხი
3. პროფესიულ სტუდენტთა დაბალი მოტივაცია სწავლის პროცესში
4. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია
5. უმუშევრობის მაღალი დონე და ვაკანსიების არარსებობა

77. სხვა _____/დაასახელო/

99. არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

B.15. როგორ ფიქრობთ, კონკურენტუნარიანია კოლეჯის კურსდამთავრებული შრომის ბაზარზე?

1. კონკურენტუნარიანია
2. საშუალოდ კონკურენტუნარიანია
3. არაკონკურენტუნარიანია

99. არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

B.16. რამდენად პრესტიჟულია პროფესიული განათლება?

1. ძალიან პრესტიჟულია
2. პრესტიჟულია
3. არაპრესტიჟულია
4. ძალიან არაპრესტიჟულია

99. არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

C. თუკი გსურთ ისეთი აზრის დაფიქსირება, რომელიც ზემოთ არც ერთ კითხვაში არ გაჟღერდა, გთხოვთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება/შენიშვნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ზოგადად პროფესიული განათლების შესახებ.

მადლობას გიხდით კითხვარის შევსებისთვის!